# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**მორიგი სხდომის**

## ო ქ მ ი N9

ქალაქი ბათუმი 2023 წლის 29 სექტემბერი

$11^{00}$ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – რამაზ ჯინჭარაძე.

**ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :**

ირაკლი თავდგირიძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ნატალია ზოიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მინდია გოგუაძე - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დავით მახარაძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ცხოიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გოჩა მგელაძე - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე – საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ აფხაზავა - ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

ასლან ბალაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

როსტომ ხალვაში - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ბერიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ლოლაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიულისაქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ნოდარ ლუმბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე;

ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

მამუკა ქობულაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ნაზი ფუტკარაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ბაჩი მექვაბიშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;

გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი;

ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი;

აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი;

თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი;

რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი;

ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

თეკლე კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;

ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;

ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდა:**

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურისს უფროსი - მერაბ ქიძინიძე.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;
- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული 11 საკითხი. ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ შემოიტანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ბათუმში, ი. ჭავჭავაძის, ს. ზუბალაშვილის, 26 მაისისა და ლუკა ასათიანის ქუჩებს შორის არსებული სარეკრეაციო (გამწვანებული)

ტერიტო-რიისთვის იოსებ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე", რომელიც განხილული იქნება შემდგომ საკრებულოს სხდომაზე. მან დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ქუჩაზე სხვა სახელის დარქმევა უნდათ და არა კახი კავსაძის, რაზედაც საკრებულოს წევრმა ლევან ცხოიძემ განუმარტა, რომ დანართში ტექნიკური შეც-დომაა და მოსახლეობასთან და საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ ქუჩას დერქვას კახი კავსაძის სახელი. გამომდინარე აქედან წამოაყენა წინადადება დამატებით განხილვის მიზნით საკითხის ამოღების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოსახლეობას შეხვდნენ და ისაუბრეს კახი კავსაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საქარ-თველოსთვის კახი კავსაძის პიროვნება და ეჭვი არ ეპარება, რომ კოლეგებს ოპოზი-ციური პარტიის მხრიდანაც არ აქვთ საწინააღმდეგო, უბრალოდ საქმისწარმოება ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას. მომხრეა საკითხის ამოღების.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან მე-10 საკითხის ამოღება დაეყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 33

არ ესწრებოდა: 1 (ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 33
წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი, ცვლილების გათვალისწინებით:**

**საკითხი 1.** „მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქბათუმისმუნიციპალიტეტისმუნიციპალური პოლიტიკისსამსახურისუფროსიირუსუდან ჟოჟაძე)

**საკითხი** 2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიცი-პალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა საგამონაკლისო წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურისს უფროსი მერაბ ქიძინიძე)

**საკითხი** 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავითკოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი** 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ –მამუკა რამიშვილი)

**საკითხი** 6. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერა-ლური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრე-ბულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ – მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშე-ნიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ – მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 8.** „კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამ-ტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს დრიმ ლაინი)

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ – მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 9.** „კანონით განსაზღვრული დროებით ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს მაი თაუერი)

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა
და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ – მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 10.**„ქალაქ ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის და გრიგოლ ფერაძის ქუჩებს შორის არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და შინდისის გმირების სახელის მინიჭების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების,
კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე –
ლევან ცხოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 33 |
| არ ესწრებოდა: 1 (ა. ვარშალომიძე) | |
| კენჭისყრისშედეგები: | მომხრე – 33<br>წინააღმდეგი – 0 |

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა აფხაზეთის თემით დაიწყო საუბარი და აღნიშნა, რომ მოუშუშებელი ტკივილია დღეს 29 სექტემბერი – ოჩამჩირის დაცემის დღე და 30 სექტემბერი გაგრის დაცემიდან 30 წლისთავი. ეს არის უმძიმესი დღეები ქვეყნის ისტორიაში. გარდა ამისა ხვდებიან დევნილებს, რომლებიც გაუსაძლის მდგომარეობაში არიან რეგიონში. მან გაიხსენა მათთვის ბიძინა ივანიშვილის დაპირება, რომ 3-4 საძინებლიან ბინებს გადასცემდა. ეს ტყუილი დაპირება აღმოჩნდა დევნილებისთვის. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, როცა პრემიერი ხშირად საუბრობს წარმატებული ეკონომიკის შესახებ, მაგრამ სამწუხარო რეალობის წინაშეა რეგიონი. სტატისტიკური მონაცემებით 145 ათასი სოციალურად დაუცველია აჭარაში, მათ შორის 40 ათასი ბათუმში. ეს არის უმძიმესი რეალობა. 2022 წელს საქართველოდან 5508 სკოლის მოსწავლე წავიდა მშობლების ერთად საზღვარგარეთ სასწავლებლად. მას მიაჩნია, რომ მთავარი სამიზნე დღეს არის ევროპული მომავალი.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ დაუსვა კითხვა რევაზ ხარაზს, რომ 145 ათასი თუ არის სოციალურად დაუცველია, აღნიშნულზე აქვს თუ არა ელექტრონული ვერსია, რაზედაც დაეთანხმა რევაზ ხარაზი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მიმართა რევაზ ხარაზს, რომ ამგვარი განცხადებები არ უნდა გააკეთოთ, რადგან ის არის პრემიერი – საქართველოს ხელმძღვანელი პირი. ყველას ვალდებულებაა ქალაქზე ზრუნვა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ გლობალურმა დათბობამ და მისგან გამოწვეულმა სტიქიმა მასიური ზარალი მიაყენა გარემოს, რასაც ეწირება ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო ზარალი არის დიდი. ხშირ შემთხვევაში მსხვერპლიც. ბოლო პერიოდში რაჭაში, გურიაში დაფიქსირდა. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს სავალალო მდგომარეობის დადგომა, ძალიან ხშირად არის იმ გულგრილი დამოკიდებულების შედეგი, რასაც იჩენს ან ცენტრალური ხელისუფლება ან ადგილობრივი თვითმმართველობა. მთავარი პრობლემა იმაშია, რომ სტიქიურ მოვლენებს წინასწარ ვერ გათვლით, მაგრამ შესაძლებელია

პრევენცია და წინასწარ გატარებული ღონისძიებებით ამ პრობლემების შემცირება. ამისთვის უმნიშვნელოვანესია წინასწარ დაიწყონ ბევრ საკითხზე პრევენცია, მათ შორის უკვე მიმდინარეობს 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხები, იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურის წინასწარი მოვლა, დაგეგმვა და პრიორიტეტული იყოს ამ შემთხვევაში მდინარეების ხეებისგან გაწმენდა, ნაპირსამაგრი სამუშაოების დროულად დასრულება, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის დროული გაწმენდა, რომ შემდგომში დიდი წვიმების შემდეგ არ მოხდეს ქალაქის დატბორვა. პარტია ,,საქართველოსთვის" ინიციატივა არის დროულად მოხდეს იმ თანხების გათვალისწინება ბიუჯეტში, რომელიც აუცილებელია ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად, ამავ-დროულად შემდგომი სხდომისთვის მოწვეული იქნან მერიის სამსახურები, მათ შორის შპს ,,ბათუმის წყალი" და საქალაქო ინფრასტრუქტურის სამსახურები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კონკრეტული გეგმა თუ როგორ მოხდება ასეთი საკითხების პრევენცია. იმედი აქვს, რომ იქნება ერთსულოვანი მხარდაჭერა სხვადასხვა პარტიების მხრიდან.

საკრებულოს წევრი, მამუკა ქობულაძე რევაზ ხარაზს დაეთანხმა, რომ სექტემბრის თვე მძიმე თვეა გასაგებ მიზეზთა გამო და უერთდება იმ პათოსს, რასაც ჩვენი ქვეყნის ერთიანობის აღდგენისკენ სწრაფვა ჰქვია. კოლეგები რაღაც საკითხებზე მაინც ახერხებენ შეთანხმებას, თუმცა რევაზ ხარაზს ვერ დაეთანხმება, რადგან ევროკავშირში შესვლა მოხდება ყველას ერთად. ქალაქში სხვადასხვა აქტივობები ტარდება, მეზობელი აგრესორი და ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლების მიერ და მისთვის ეს არის გაუგებარი. რამოდენიმე დღის წინ ახალ ბულვარში მარათონს აწყობდა რუსული წარმომავლობის ადამიანები, ორგანიზატორები რუსები (ეთნიკურ რუსს არ გულისხმობდა) იყვნენ, არა ამ ქვეყნის მოქალაქეები და ამას ატარებდნენ როგორც უნდოდათ და როგორც აღმოჩნდა ეს პიროვნება ასწავლის ერთ-ერთ კერძო სკოლაში. ძალიან ცუდი ტენდენციები შეინიშნება მათი ინიციატივიდან და მათი ქმედებებიდან გამომდინარე. მათ, რომ არ არიან სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტიდან, ნამდვილად ესმის, თუმცა მიაწოდებს ჩანაწერს და იქნებ ყველამ ერთად გაარკვიონ რა ხდება ქალაქში.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ სამწუხარო ამბავია, რომ ყოველი სხდომა ტარდება ისეთ დროს, როდესაც საკმაოდ მძიმე მოვლენები ხდება, სამწუხაროდ, არც დღევანდელი სხდომაა გამონაკლისი. გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იმ ადამიანის ჯაშუშად გამოცხადებას, რომელიც ხელისუფლების პერიოდში იყო გენერალური პროკურორი. მძიმე ამბავია, დღევანდელი კულტურის მინისტრის წარდგინებით დაინიშნა გენერალურ პროკურორად. ეხლა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და ავტომატურად ითვალისწინებს კანონმდებლობა საქართველოს ორმაგ მოქალაქეობას. ფარცხალაძე და მურუსიძე რომ არის მართლმსაჯულების სახე და ელოდებით კანდიდატის სტატუსს, რომელიც მე-12 პუნქტში წერია, რომ მართლმსაჯულების რეფორმა უნდა მოხდეს, ამიტომ არ მოგცემენ კანდიდატის სტატუსს. ფარცხალაძე არის ამ ქვეყნის სირცხვილი.

საკრებულოს წევრს ნოდარ დუმბაძეს იმედი ჰქონდა, რომ პარტია ,,ქართული ოცნების" წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დეპუტატები გააკეთებდნენ განცხადებებს ფარცხალაძის მიმართებით, თუმცა არ აღმოჩნდა არავინ მთქმელი. ასევე აღნიშნა, რომ ავარიული სახლების აღებისას გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთს ნუ მისცემთ მაღალი სართულის აშენების უფლებას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავარიულ სახლებთან დაკავშირებით მოწვეული იქნან შესაბამისი სამსახურები მსჯელობისთვის.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ განაცხადა, რომ 3 წუთიან გამოსვლას ყოველთვის იყენებს მოსახლეობის პრობლემების მოსატანად, თუმცა არ ჩანს რომელიმე პრობლემის შესრულება. აფხაზეთის ქუჩის პრობლემაა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ასევე მაზუთის ნარჩენები იყრება ახლომდებარედ, რომელიც იწვევს ჰაერის დაბინძურებას. ზედა და ქვედა სამხედრო დასახლების პენსიონრები ითხოვენ ლიბერთი ბანკის დაბრუნებას, რომელიც რამდენიმე თვეა არ დგას. მეზღვაურთა და ქათამაძის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მშენებლობის მიმდინარეობისას რამდენჯერმე მივიდა, იმედია ხარისხიანად აშენებულია. ღონისძიებებზე მას არ აფრთხილებენ, როგორც მაჟორიტარს. ასევე არ შესრულებულა ბავშვთა ატრაქციონების განთავსება, მოსაცდელები, მდინარის ჯებირებით გამაგრება. ზაფხულის სეზონზე ბარცხანის მოსახლეობა დარჩა ზღვის გარეშე, რადგან გადათხრილია და მიტოვებულია სანაპირო. საკრებულოს სხდომაზე მოდის იმიტომ, რომ მოიტანოს მოსახლეობის პრობლემები. ტოვებს დღევანდელ საკრებულოს სხდომას თანაგუნდელებთან ერთად.

საკრებულოს წევრმა, ბაჩი მექვაბიშვილმა განაცხადა ნაგვის ურნებთან დაკავშირებით პრობლემაა ქალაქში, ანტისანიტარიაა და დასამატებელია ურნები. ასევე უპატრონო ძაღლების და ტრაილერების მოძრაობა ქალაქისთვის პრობლემას წარმოადგენს.

**საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა: რ.ხარაზმა, ნ.ფუტკარაძემ, ი.ძიძიგურმა.**

**მოისმინეს:** **საკითხი 1.** „მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედ-გენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს №18 დად-გენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქბათუმისმუნიციპალიტეტისმუნიციპალური პოლიტიკისსამსახურისუფროსიირუსუდან ჟოჟაძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ "მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 აგვისტოს N18 დადგენილება განსა-ზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტის („იდეა ბათუმს") შედგენის წესსა და აღსრულების პირობებს, რომელიც ითვალისწინებს იდეების რეგისტრაციას და შემდგომში საჯარო ხმის მიცემას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. პლატ-ფორმის მართვის, მასზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, იდეების რეგისტრაციის და საჯარო ხმის მიცემის წესები, N18 დადგენილების თანახმად, რეგულირდება მერის ბრძანებით. მომხმარებელთა რეგისტრაციისას პირის იდენტიფიცირება ხდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო") მონაცემთა ელექტრონული ბაზის გამოყენებით, რა მიზნითაც 2019 წლიდან სააგენტოსთან გაფორმებულია მემორანდუმი და ყოველწლიურად ხდება მისი განახლება. მემორანდუმის განახლებას წინ უძღვის სააგენტოსადმი წერილობითი დასაბუთება, მონაცემთა ბაზის გამოყენების აუცილებლობაზე, გარდა ამისა არსებული მემორანდუმის ფარგლებში აუცილებელია მომხმარებლად დარეგისტრირებამდე დაინტერესებულმა პირმა პლატფორმაზე წარადგინოს (ატვირთოს) წერილობითი თანხმობა, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელიც უნდა იყოს მის მიერ ხელმოწერილი მატერიალური სახით ან ელექტრონული ხელმოწერის სახით, აღნიშნული კი გარკვეულწილად აფერხებს

მომხმარებელთა რეგისტრაციას. სააგენტოს მხრიდან განმარტებულ იქნა რომ, თუ სააგენტოს მონაცემთა ბაზის გამოყენება გათვალისწინებული იქნება ნორმატიული აქტით, გამარტივდება მემორანდუმის გაგრძელების და მომხმარებელთა რეგისტრაციის პროცესი (პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე თანხმობის გაცხადების ნაწილში)

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ უხარია და გულშემატკივარია მონაწილეობითი ბიუჯეტის, რადგან მაშინ დაიწყეს მუშაობა, როდესაც ამ გუნდის ხელმძღვანელი იყო. ამ პროექტით ბათუმის ბიუჯეტი 2019 წელს გავიდა პირველ ადგილას ყველა მუნიციპალიტეტებს შორის. უხარია, რომ პლატფორმაზე გამარტივების საშუალებაა, ასევე კარგი ცვლილებებია, გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობას და უფრო და უფრო მეტი ბათუმელი უნდა ერთვოდეს მონაწილეობით ბიუჯეტირებაში იმიტომ, რომ მათ აქვთ შანსი თავიანთი იდეები განახორციელონ ყოველგვარი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30
არ ესწრებოდა: 1(ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 11 (ნ. ლუმბაძე, ნ. ნაცარაშვილი, მ.ქობულაძე, ბ. მექვაბიშვილი, თ. კავაზაშვილი, ქ.ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე, ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი** 2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრა-ციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინის-ტრაციულ საზ-ღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა საგამონაკლისო წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 12 სექტემბრის N114-1142325565 წერილით მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სადაც აღნიშნულია, რომ დაბა ჩაქვს ემსახურება ორი მუნიციპალური საბავშვო ბაღი, რომლის კონტინგენტი შეადგენს 245 აღსაზრდელს, რაც არასაკმარისია სკოლამდელი ასაკის ბავშვების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული გარემოებების გამო ჩაქვის საბავშვო ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის თაობაზე დაწერილი განცხადებები ვერ კმაყოფილდება სრულად.

ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე, ბათუმის მერიის მიერ აშენდა საბავშვო ბაღი. აღნიშნულ ბაღში ვერ ჩაირიცხება დაბა ჩაქვში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში მცხოვრები ბავშვები, თუ მშობლებს არ ექნება ბათუმის მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მოგვმართა თხოვნით, რათა მივიღოთ გადაწყვეტილება და მათ მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე მოხდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის ადმინისტრაციულ საზღვარში მცხოვრები აღსაზრდელების ჩარიცხვა ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე საბავშვო ბაღში.

საბოლოოდ განკარგულების მიზანია ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ 2023/2024 სასწავლო წლისათვის, უსასყიდლოდ განახორციელოს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჩარიცხვა, დადგენილი ზედა კვოტირების ფარგლებში და უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიწოდება.

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრი, თეონა ბერიძე მიესალმა ინიციატივას, იქნება ეს სკოლამდელი, ზოგადი თუ უმაღლესი განათლება. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი დადებითი ნაბიჯია გადადგმული. ბოლო წლებში 11 ახალი საბავშვო ბაღია აშენებული, ამჟამად მიმდინარეობს 4 ბაღის გამაგრება, 3 ბაღი შენდება და 12 ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. წარმოდგენილი ბაღის მიმართებაში წინასწარ ჩატარდა მოკვლევა, დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით რამდენი ადგილი იყო საპროგნოზოდ საჭირო, შესაბამისად ის ვაკანტური ადგილები, რომელიც ახლა შეიძლება შეთავაზებული იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, თუმცა რეგიონში მცხოვრებ პატარებს მათთვისაც უზრუნველყოფილი იყოს სკოლამდელი განათლება, არ უშლის ხელს და არ აზარალებს ბათუმში რეგისტრირებულ ბავშვებს. ასევე გუშინ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წელს ამ რაოდენობაზე, რომელსაც ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრი-რებულებს მიიღებენ აქტიურად ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის ბიუჯეტიდან იქნება მხოლოდ დარჩენილი რამდენიმე თვის განმავლობაში გადახდილი თანხა, ვინაიდან მიმდინარე პერიოდში საბიუჯეტო პროცედუ-რებისათვის გასატარებელი დრო არ რჩება. ფიქრობს მნიშვნელოვანია ადამიანური თვალსაზრისით ბავშვებს, რომლებიც უცქერიან ბაღის შენობას მხოლოდ იმიტომ არ აუკრძალოთ შესვლა, რომ ისინი სხვაგან არიან რეგისტრირებული.

საკრებულოს წევრი, ნატალია ძიძიგური მიესალმა, ინტერმუნიციპალური ურთიერთობების გააქტიურებას, მაგრამ არ უნდა გამოიწვიოს შემდგომში ადგილობრივე-ბისთვის ადგილების არასაკმარისობა.

საკრებულოს წევრი, ნატალია ზოიძე მიესალმა და აღნიშნა, რომ კარგი პროექტია და მხარდასაჭერია.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე ეთანხმება, რომ ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა კარგია. 2024 წლიდან თუ ქობულეთის მუნიციპალიტეტი აპირებს ბავშვებისთვის თანხის გადახდას, მაშინ განმარტებით ბარათში უნდა ჩაწერილიყო.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 30 |
| არ ესწრებოდა: | 1 (ა.ვარშალომიძე) |
| | |
| კენჭისყრისშედეგები: | მომხრე – 30 |
| | წინააღმდეგი – 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** **მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუ-თრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ-დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით, ნუსხისა და გეგმის 228-240-ე პუნქტებში ტექნიკური შეცდომის ჩასწორება, მისამართის ცვლილება - კ.გამსახურდიას ნაცვლად ზ.გამსახურდიას ქუჩის მითითება.

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :** საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ დასვა კითხვა პირობიან და უპირობო აუქციონთან დაკავშირებით, თუ როდის თანხმდებიან დამტკიცების შემდეგ თუ მანამდე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ გამსახურდიას ქუჩაზე დამწვარ ბინებს შეეხება, მერიის მხრიდან მოხდა გამოსყიდვა, დარჩნენ მესაკუთრეები, რომლებიც იყენებენ. ტექნიკური დაზუსტება ხდება მისამართის ნაწილში. ერთან ნაწილში ხდება პირობიანი განკარგვა.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ გამსახურდიას ქუჩიდან არაერთხელ მოქალაქემ მიმართა. ძველი ბათუმი სენსიტიური თემაა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოადგენს მრავალ ბინის ერთობლივ ნაწილს, პირობაში გათვალისწინე-ბულია იქ არსებული ხანძრის შედეგად დარჩენილი კერძო მესაკუთრე, რომელიც ვერ გამოისყიდა იმათთან ერთობლივი ფორმით კონსტრუქციის მშენებლობით.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე წელია ხელისუფლება

ცდილობს საკითხის მოგვარებას. მიესალმა მერიის მიერ გამოსავალ ორიენტირებულ გადაწყვეტილებას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 30 |
| არ ესწრებოდა: | 1(ა.ვარშალომიძე) |
| კენჭისყრისშედეგები: | მომხრე – 30 |
| | წინააღმდეგი – 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთ-რებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობაში განკარგვასთან დაკავ-შირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ – დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შპს „საქართველოს ფოსტა"-სა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2017 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „საქართველოს ფოსტა"-ს 5 წლის ვადით სარგებლობაში (იჯარით) გადაეცა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 18 მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური საიჯარო ქირა შეადგენდა 10000,0 (ათი ათასი) ლარს. მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია პრესის (ჟურნალ-გაზეთების) სარეალიზაციო ჯიხურები. სარგელობის ვადა ამოიწურა 2022 წლის 24 ოქტომბერს. 2022 წლის 29 სექტემბერს შპს „საქართველოს ფოსტა"-მ განცხადებით (#10/1422276185-14) მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა სარგებლობის ვადის 5 წლით გაგრძელება. 2023 წლის 30 მარტის განცხადებით (#10/1423093432-14) შპს „საქართველოს ფოსტა"-მ ითხოვა სარგებლობაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების 3 კვ.მ. და 4 კვ.მ.-დან 6 კვ.მ.-მდე გაზრდა და წარმოადგინა პრესის ჯიხურების განთავსების 25 ადგილი, ასევე თანამედროვე დიზაინის ახალი ჯიხურების ესკიზური მონაცემები. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საბოლოოდ (შპს „საქართველოს ფოსტა"-სთან შეთანხმებით) შეირჩა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე პრესის ჯიხურების განთავსების 15 ადგილი, თითოეული 6 კვ.მ. – სულ 90 კვ.მ. განხორციელდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ განსაზღვრა. დასკვნებიდან გამომდინარე დაანგარიშებული იქნა მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის საფასური. სარგებლობაში გადასაცემი 90 კვ.მ. მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 218161,0 ლარი, შესაბამისად წლიური სარგებლობის საფასურმა (5%) 10 908,0 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შპს „საქართველოს ფოსტა"-ს პირდაპირი

განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 5 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს 15 მიწის ნაკვეთი (თანახმად განკარგულების დანართისა) იმ პირობით, რომ შპს „საქართველოს ფოსტა" ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე განახორციელებს 2017 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულებით 5 წლის ვადით მის სარგებლობაში არსებული 18 ერთეული მიწის ნაკვეთის 2022 წლის 24 ოქტომბრიდან ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდის სარგებლობის (იჯარის) საფასურის დაფარვას (გადახდას).

ამასთან, სარგებლობაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის (იჯარის) საფასური განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა, ნოდარ ღუმბაძემ აღნიშნა, რომ გამოცხადდეს აუქციონი, პირობაში ჩაიდოს მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა. აღნიშნულიდან გამომდი-ნარე დამატებით უფრო მეტი თანხა შემოვა ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ 15 წერტილზეა საუბარი და წლიურად ბიუჯეტში აისახება 15000 ლარი, რაც მისთვის გაუგებარია სახელმწიფო ორგანოების მიერ ბიზნეს საქმიანობით დაკავება. მიაჩნია, რომ ამ ქონების კერძო პირებისთვის გადაცემა კერძო სექტორის წახალისება გაცილებით მეტი თანხის შემომტანი იქნება წლის განმავლობაში ბიუჯეტში, ვიდრე საქართველოს ფოსტით.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური მიესალმება ყოველთვის ბიუჯეტის გაზრდას, ქალაქში ბევრი ჯიხურია, რომელიც ნაგვის ბუდედაა ქცეული. კარგია, რომ ჯიხურებში მომუშავეებს გაუმჯობესდებათ პირობები.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს, რადგან დღეს წელიწადში 1000 ლარად გადაცემა სასაცილოა, თუმცა ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა 15 ადგილას კარგია.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 12 (ნ. ღუმბაძე, ნ. ნაცარაშვილი, მ.ქობულაძე, ბ. მექვაბიშვილი, თ. კავაზაშვილი, ქ.დასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე, ა. გვიანიძე, ვ.დარჩია, ა.ვარშალომიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:**

**საკითხი** 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერი-ტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძი-ებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანო-ბის წესის დამტკიცების შესახებ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ – მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმო-დგენილი დადგენილების მიღების მიზეზია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 05.07.2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020588) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საგან-მონაკლისო წესით დაშვებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით, რეგულაციების დაკონკრეტება.

- **დადგენილების მიხედვით** ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად დაკონკრეტება, თუ რა მიიჩნევა ავარიულ სახლად ან/და მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ შენობა-ნაგებობად კერძოდ: ამ წესით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნებისათვის ავარიულ სახლად მიიჩნევა „არქიტექტუ-რული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 05.07.2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020588) ამოქმედებამდე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ბინაათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული განმარტების შესაბამისად) ან/და მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ერთ ჭერ ქვეშ, არსებობს სამი და მეტი დამოუკიდებელი საკუთრების საგანი – რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ფართი და კომერციული დანიშნულების ფართი ან/და საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ერთ ჭერ ქვეშ არსებობს 3 და მეტ წილად დაყოფილი საკუთრების საგანი, რომლშიც წილობრივი მონაცემების შესაბამისად აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად ფაქტობრივად მდგომარეობით მდებარეობს ბინა ერთეუ-ლების მსგავსად

დაყოფილი დამოუკიდებელი სახით არსებული 3 და მეტი ფართი, რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა და კომერციული დანიშნულების ფართი) რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V , IV და III კატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე დემო-ნტირებულთა ან/და მისი აღდგენა-გამაგრება არარენტაბელურია, აგრეთვე აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნით დადასტურებული საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე მდებარე ე.წ. „ბარაკები“.

- **დადგენილებას მე-4 მუხლი ემატება** პუნქტები, რომლითაც ხდება სხვადასხვა ტექნიკური, პროცედურული და სხვა საკითხების დაკონკრეტება, რისი მიღების საჭიროებაც გამოიკვეთა დადგენილების მიღების შემდეგ პრაქტიკულ საქმიანობიდან კერძოდ:

$6^{1}$. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების მიზნებისათვის ავარიული სახლის ადგილად მიიჩნევა ავარიულ სახლზე დამაგრებულ არანაკლებ 500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, ასევე ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთი ან/და ნაკვეთები რომელთა კვადრატულობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ავარიული სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის ერთ მეორედს, რომელთა გაერთიანებაც ავარიული სახლის ჩანაცვლების მიზნით პროექტის განხორციელების მიზნისათვის უნდა მოხდეს ავარიულ სახლზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან, რა დროსაც მაკომპესირებელი ღონისძიების გამოყენება სავალდებულო არ არის.

$6^{2}$. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ამ წესის მე-4 მუხლი მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების მიზნებისათვის მუნიციპალურ მიზნობრივ პროგრამად და ავარიულ სახლის ადგილად მიიჩნევა ავარიულ სახლზე დამაგრებული 500 კვ.მეტრამდე მიწის ნაკვეთი, იმ პირობით თუ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წინასწარ და სრულად მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების დაკმაყოფილება, განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი და წარმოდგენილი იქნება აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რა დროსაც მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება სავალდებულო არ არის. ასევე იმ შემთხვევაში თუ ავარიული სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი არის 500 კვადრატულზე მეტი, სავალდებულო არ არის ამ ავარიული სახლის ჩანაცვლებისათვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამაში ჩართვა და დასაშვებია მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ხელშემწყობი ღონისძიების გამოყებნება თუ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წინასწარ და სრულად მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების დაკმაყოფილება, განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი და წარმოდგენილი იქნება აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რა დროსაც მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება სავალდებულო არ არის.

$6^{3}$. დაუშვებელია ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის საფუძვლით ერთდროულად ავარიული სახლის ადგილას და სხვა ტერიტორიაზე ამ წესით დადგენილი შეღავათების გამოყენება.

$6^{4}$. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილებას ამ წესის მე-4 მუხლის მე-$6^{1}$ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ღებულობს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ბათუმი ავარიული სახლების გარეშე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ შექმნილი შესაბამისი სამთავრობო კომისიისა და ამ წესის შესაბამისად შექმნილი სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში.

$6^{5}$. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილებას ამ წესის მე-4 მუხლის მე-$6^{2}$ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ღებულობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ამ წესის შესაბამისად შექმნილი სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში.

$6^{6}$. ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება ამ წესის შესაბამისად შექმნილი სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით საკრებულოს მიერ.

$6^{7}$. ამ წესის მე-3 მუხლით შესაბამისად სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ამ წესის მე-4 მუხლის $6^{4}$ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის დაინტერესებული პირი ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს და დოკუმენტაციას (ელექტრონული სახით) წარუდგენს ბათუმი ავარიული სახლების გარეშე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით აჭარის ა.რ. მთავრობის მიერ შექმნილი შესაბამისი სამთავრობო კომისიას. სამთავრობო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას, განაცხადს და თანდართულ საბოლოო სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, ამ წესის შესაბამისად შექმნილი სათათბირო საბჭოს განხილვისა და შემდგომი ღონისძიების გასატარებლად. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბრო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ქ. ბათუმის ქალაქგანვითარებია და ურბანული პოლიტიკის სამსახური ამზადებს და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ხელმოსაწერად წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს.

$6^{8}$. ამ წესის მე-3 მუხლით შესაბამისად მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ამ წესის მე-4 მუხლის $6^{5}$ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის დაინტერესებული პირი ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს და დოკუმენტაციას (ელექტრონული სახით) წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. წარდგენილ განაცხადი განიხილავს ამ წესის შესაბამისად შექმნილი სათათბირო საბჭო. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბრო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ქ.ბათუმის ქალაქგანვითარებია და ურბანული პოლიტიკის სამსახური ამზადებს და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ხელმოსაწერად წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს.

$6^{9}$. ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის სხვა ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება, დასაშვებია იმ პირობით თუ

მშენებლობის ნებართვის აღებამდე წინასწარ და სრულად მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების დაკმაყოფილება, განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი და წარმოდგენილი იქნება აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

6[10]. ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მიზნებისათვის, ასევე ამ წესის მე-4 მუხლის 6[6] პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის დაინტერესებული პირი ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის დოკუმენტაციას (ელექტრონული სახით) წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, წარდგენილ განაცხადის და დოკუმენტაციის სათათბირო საბჭოზე განხილვისათვის ამზადება ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური. სათათბირო საბჭოს მიერ საბოლოოდ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური ამზადებს ქ. ბათუმის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს და წარუდგენს მერს ხელმოსაწერად, ხოლო სათათბირო საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური ამზადებს საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (განმარტებით ბარათსა და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) პროექტს, ასევე საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის ქ.ბათუმის მერს ხელმოსაწერად წარუდგენს შესაბამის წერილის პროექტს.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს: მე-5 პუნქტი: ამოქმედებამდე მიწის ნაკვეთის ერთ საკადასტრო კოდზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული განმარტების შესაბამისად) ან/და მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი სახლი, რომელშიც საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ერთ ჭერქვეშ არსებობს სამი და მეტი დამოუკიდებელი საკუთრების საგანი - რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ფართი და კომერციული დანიშნულების ფართი ან/და საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ერთ ჭერქვეშ არსებობს 3 და მეტ წილად დაყოფილი საკუთრების საგანი, რომელშიც წილობრივი მონაცემების შესაბამისად აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობით მდებარეობს ბინა ერთეულების მსგავსად დაყოფილი დამოუკიდებელი სახით არსებული 3 და მეტი ფართი, რამოდენიმე საცხოვრებელი ბინა და კომერციული დანიშნულების ფართი), რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V, IV და III კატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე დემონტირებულია ან/და მისი აღდგენა-გამაგრება არარენტაბელურია, აგრეთვე აკრედი-ტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნით დადასტურებული საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე მდებარე ე.წ. „ბარაკები".".

6[2]. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტითგათვალისწინებული ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების მიზნებისათვის მუნიციპალურ მიზნობრივ პროგრამად და ავარიული სახლის ადგილად მიიჩნევა (რა დროსაც მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება სავალდებული არ არის) ავარიულ სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ასევე ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთი ან/და ნაკვეთები, რომელთა კვადრატულობა ჯამში არ

უნდა აღემატებოდეს ავარიულ სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის ერთ მეორედს, რომელთა გაერთიანებაც ავარიული სახლის ჩანაცვლების მიზნით პროექტის განხორციელების მიზნისათვის უნდა მოხდეს ავარიულ სახლზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან, ისე, რომ მათი ჯამი შესაძლოა იყოს არაუმეტეს 500 კვადრატულ მეტრამდე, იმ პირობით თუ მშენებლობის ნებართვის აღებამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი, ასევე მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების წინასწარი და სრული დაკმაყოფილება (სანაცვლო ქონების საკუთრებაში გადაცემა ან/და ნასყიდობის საფასურის გადახდა) ან/და წარმოდგენილი იქნება ავარიული სახლის ყველა მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომ მათსა და იურიდიულ პირს (დეველოპერულ კომპანიას) შორის დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დეველოპერული კომპანია პასუხისმგებელია ავარიული სახლის მესაკუთრის სრულად დაკმაყოფილებაზე, ავარიული სახლის მესაკუთრეები თავიანთ თავზე ღებულობენ აღნიშნული შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და თანახმა არიან დეველოპერული კომპანია ჩაერთოს მუნიციპალურ მიზნობრივ პროგრამაში, ისარგებლოს ამ წესითა და პროგრამით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებით და არც თანხმობის გაცემის მომენტში და არც მომავალში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიმართ ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე სახით პრეტენზია ან/და მოთხოვნა არ ექნებათ. აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ავარიულ სახლზე დამაგრებული და ამ წესით დადგენილი ოდენობით მომიჯნავე ნაკვეთების გაერთიანების შედეგად მიწის ნაკვეთი არის 500 კვადრატულზე მეტი, სავალდებულო არ არის ამ ავარიული სახლის ჩანაცვლებისათვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამაში ჩართვა და დასაშვებია მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება, თუ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წინასწარ და სრულად მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების დაკმაყოფილება (სანაცვლო ქონების საკუთრებაში გადაცემა ან/და ნასყიდობის საფასურის გადახდა), განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი და წარმოდგენილი იქნება აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რა დროსაც მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება სავალდებულო არ არის.

$6^4$. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის იმავე ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილებას ამ წესის მე-4 მუხლის 61 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ღებულობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, ბათუმი ავარიული სახლების გარეშე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი შესაბამისი სამთავრობო კომისიისა და ამ წესის შესაბამისად შექმნილი სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში.

$6^7$. ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ამ წესის მე-4 მუხლის $6^4$ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის დაინტერესებული პირი ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს და დოკუმენტაციას (ელექტრონული სახით) წარუდგენს ბათუმი ავარიული სახლების გარეშე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილ შესაბამის სამთავრობო კომისიას.

$6^9$. ავარიული სახლების ჩანაცვლებისათვის სხვა ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება დასაშვებია იმ პირობით, თუ მშენებლობის ნებართვის აღებამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ავარიული სახლის დემონტაჟი, ასევე მოხდება ავარიულ სახლში მცხოვრები მესაკუთრეების წინასწარი და სრული დაკმაყოფილება

ან/და წარმოდგენილი იქნება ავარიული სახლის ყველა მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომმათსა და იურიდიულ პირს (დეველოპერულ კომპანიას) შორის დადებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დეველოპერული კომპანია პასუხისმგებელი ავარიული სახლის ჩანაცვლებასა და ავარიული სახლის მესაკუთრეების სრულად დაკმაყოფილებაზე, ავარიული სახლის მესაკუთრეები თავიანთ თავზე ღებულობენ აღნიშნული შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და თანახმა არიან დეველოპერული კომპანიამ ისარგებლოს ამ წესით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებით და რომ არც თანხმობის გაცემის მომენტში და არც მომავალში ქალაქ ბათუმისმუნიციპალიტეტის მიმართ ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე სახით პრეტენზია ან/და მოთხოვნა არ ექნებათ.

$6^{10}$. სათათბირო საბჭოს მიერ საბოლოოდ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური ამზადებს ქალაქ ბათუმის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს და წარუდგენს მერს ხელმოსაწერად, ხოლო სათათბირო საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური ამზადებს საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (განმარტებითი ბარათი, თანდართულ დოკუმენტაცია) პროექტს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გაგზავნის მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ხელმოსაწერად წარუდგენს შესაბამისი წერილის პროექტს.

**აზრი გამოთქვეს:** სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ძვრებია ავარიულ სახლებთან მიმართებით და მერია მაქსიმალურად აკეთებს ყველაფერს, რომ მცირე დროში მოხდეს აღნიშნულის გადაწყვეტა. მადლობა გადაუხადა მერიას, რომ დაინტერესებულ პირებს არ მოუწევთ ბარიერების გადალახვა.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მიმართა ფრაქციების თავმჯდომარეებს თენგიზ აფხაზავას და ნოდარ ლომბაძეს, რომ მნიშვნელოვანია პროპორციების განსაზღვრა პროექტში. მიმართა თხოვნით, რომ სამუშაო ჯგუფის ფორმატი შეიქმნას ავარიულ სახლებთან დაკავშირებით. მისთვის გაუგებარია გარკვეული დათ-ქმებით, თუ წინასწარ აიღებთ და დააკმაყოფილებს მოსა-ხლეობას, ამ შემთხვევაში მას აღარ მოუწევს მაკომპესი-რებელი ღონისძიებების გატარება ანუ დამატებითი ფართის გადმოცემა.

მომხსენებლის განმარტებით, როდესაც მრავალბინიანი სახლების ათვისება ხდება იმავე ადგილას ამ შემთხვე-ვაში საკრებულოს ჩართულობა არ არის საჭირო. კანონში წერია, რომ სავალდებულო არ არის. მუნიციპალიტეტი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში იმავე ადგილას, სადაც 500 კვ.მ-ზე ნაკლებია საჭიროა უპირობოდ დააკმაყოფილოს ნებართვის აღებამდე და დემონტაჟი გაუკეთოს საცხოვრებელ სახლს.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სითი ჯგუფთან ერთად მუშა რეჟიმშია გენერალური გეგმის შედგენასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პროპორციებს რთული იქნება ამ საკითხთან შეთანხმება მარტივი მიზეზის გამო, რომ პროპორციების ჩაწერა ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევს იმას, რომ შეიძლება კონკრეტულ ლოკაციაზე, რომელიც უნდა მისცენ 9 სართული, არაფრით არ გამოვა 6 სართულზე მეტი. ამ მიმართებით უმჯობესია ურბანისტების აზრის გათვალისწინება.

საკრებულოს წევრმა, თეონა ბერიძემ აღნიშნა, რომ მარტივია რაღაც ღირებულებების შეწონვის დროს თვლადი განზომილებით შეიძლება დასკვნების გაკეთება, მაგრამ როდესაც რისკის შემცველ საფრთხიან გარემოში ცხოვრებაზე ან ადამიანების შეუფერებელ გარემოში ცხოვრებაზეა საუბარი, მაშინ რაოდენობას აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ერთსულიანი ოჯახი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მრავალბინიან კორპუსში მცხოვრები რამდენიმე ასეული ოჯახი.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ 1, 2, 3 და მრავალბინიანი ოჯახების ხარჯზე არ უნდა დარჩეს 80, 100 და 200 ოჯახიანი სახლები, რომელიც ავარიულია.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ ქალაქისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ავარიული სახლი, თუმცა რაც დღეს ცვლილება შედის ბუნებრივია.

საკრებულოს წევრმა, ირაკლი თავდგირიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობაში გაუგებრობაა, რადგან 5 ოჯახიდან შეიძლება 1 ოჯახი არ იყოს თანახმა და ამ შემთხვევაში მერია რას ითვალისწინებს.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული იურიდიული საკითხია. მესაკუთრეს აქვს კონსტიტუციური უფლება. თუ 1 მესაკუთრე წინააღმდეგია საკითხი არ განიხილება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30
არ ესწრებოდა: 1 (ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 30
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მოისმინეს:** **საკითხი** 6. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ -მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 21 სექტემბერს N:10/1423264472-14 **გან-ცხადებით** **მომართა შპს ,,ინვესტ ჯგუფმა''** და მოითხოვა „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანა საინჟინრო და საპროექტო გზების ნაწილში.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დასაბუთება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში შპს ,,ინვესტ ჯგუფს'' გაეზარდა განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 17,0-მდე და პირობის სახით განესაზღვრა საპროექტო მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გზის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში გადაცემა; საპროექტო ტერიტორია: : #05.32.13.215; #05.32.13.254; #72a-#05.32.13.148; #05.32.13.054; #05.32.13.108; #05.32.01.536; -#05.32.13.476; #05.32.13.165; 54-05.32.13.079; #05.32.13.473.საკადასტრო მიწებს შორის მოქცეულია მერიის მიერ დასაგეგმარებელი საპროექტო გზა, არსებულ ქუჩას და გადმოსაცემ გზას შორის რჩება გამოუსადეგარი მიწის ნაკვეთი, რომელიც უმჯობესი იქნება მოექცეს გზის გაფართოების პროექტში.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 30 |
| არ ესწრებოდა: | 1 (ზ. ნაკაიძე) |
| კენჭისყრისშედეგები: | მომხრე – 30 |
| | წინააღმდეგი – 0 |

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმში, ალთას ქუჩა N53-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ N05.32.21.057 მრავალსართულიანი შენობის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დადგენილების მიღების თაობაზე.

მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 2,5-მდე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 30
წინააღმდეგი – 1(ა. გვიანიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 8.** „კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშე-მწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (მეპ დრიმ ლაინი)

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ – მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის მიღების თაობაზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქალაქ ბათუმში, იმერხევის ქ.N4-ში (ს/კ N 05.35.25.041) მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება და ამ სახლში მაცხოვრებელი ადამიანების დაკმაყოფილება.

ბ) ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N133-135-137-139-141-143 და მიმდებარე ტერიტორია ს/კ 05,32,28,205 05,32,08,105 05,32,08,123 05,32,28,204 05,32,08,205 05,32,08,206 05,32,08,237 22,05,05,300 05,32,28,338 05,32,28,661 05,32,08,668 05,32,08,669 05,32,08,670 05,32,28,682 05,32,08,828 05,32,08,973 05,32,08,998) საერთო ფართით 10136.00 კვ.მ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობი-სათვის სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინა-რე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, ხდება კოეფიციენტის გაზრდა 17,0-მდე.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ ფრიდონ ხალვაშის გამზირზე ამ მშენებლობის აშენების შემდეგ პრობლემა შეიქმნება. შემოვლითი გზა გაჩერე-ბულია, თუმცა მაშველი რგოლიდ მაინც არ გამოდგება.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხით გაიცემა 35 სართულიანი მშენებლობის ნებართვა. მან შეახსენა დეპუტატებს, რომ 2005 წლიდან დაიწყო პროგრამა ,,ბათუმი ბარაკების გარეშე".

საკრებულოს წევრის, მინდია გოგუაძის თქმით ავარიული სახლების პროგრამით მოსახლეობას მრავა-ლწლიანი პრობლემები უგვარდება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30
არ ესწრებოდა: 1 (ა. გვიანიძე)

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 3 (ე. ზარია, ვ. დარჩია, თ.კავაზაშვილი)

არ მიიღო მონაწილეობა: 8 (ნ. დუმბაძე, ნ.ნაცარაშვილი, მ. ქობულაძე, ბ. მექვაბიშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ი. ზოიძე, ა.ვარშალომიძე)

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი 9.** „კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს მაი თაუერი)

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის მიღების თაობაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 11 სექტემ-ბერს N:10/1423254416-14 განცხადებით მომართა შპს ,,მაი თაუერმა'' (ს/N447862590) და აღნიშნა, რომ სურვილი აქვს განახორციელოს ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქ. N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.10.346 ავარიული სახლის დემონტაჟი და

მესაკუთრეების დაკმაყოფილება და სანაცვლოდ ქალაქ ბათუმში, -დასახლება ანგისაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N 05.32.13.427; 05.32.13.427; 05.32.13.101; 05.32.13.374, 05.32.13.033, N05.32.13.014; 05.32.13.332 ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 15,0-მდე გაზრდა და კანონით დადგენილი სიმაღლის პარამეტრისაგან განსხვავებული პარამეტრის დადგენა.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქ. N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.10.346 მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება და ამ სახლში მაცხოვრებელი ადამიანების დაკმაყოფილება.

ბ) ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N 05.32.13.427; 05.32.13.427; 05.32.13.101; 05.32.13.374, 05.32.13.033, N05.32.13.014; 05.32.13.332 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომ დინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, ხდება კოეფიციენტის გაზრდა 15,0-მდე.

აღნიშნულის სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს სოციალური მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 30 |
| არ ესწრებოდა: | 1(ა. გვიანიძე) |
| კენჭისყრისშედეგები: | მომხრე - 19<br>წინააღმდეგი - 2 (თ. კავაზაშვილი, ნ. ლუმბაძე)<br>არ მიიღო მონაწილეობა - 9 ( ნ. ნაცარაშვილი, მ.ქობულაძე, ბ. მექვაბიშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე.ზარია, ი. ზოიძე, ვ. დარჩია, ა.ვარშალომიძე) |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 10**. „ქალაქ ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის და გრიგოლ ფერაძის ქუჩებს შორის არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და შინდისის გმირების სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2008 წლის 11 აგვისტოს ქართული შენაერთები უკან იხევდნენ, სოფლებში რუსი აგრესორები შედიოდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული შინდისში მატარებლის ლიანდაგს მიუყვებოდა. რამდენიმე მეტრი გაიარეს და რკინიგზის სადგურთან, რუსებმა ცეცხლი გაუხსნეს. საინჟინრო ოცეულმა სადგურის მოპირდაპირე მხარეს, პატარა შენობას შეაფარა თავი და უთანასწორო ბრძოლა დაიწყო. 17 ქართველი კბილებამდე შეიარაღებულ რამდენიმე ასეულ რუს ჯარისკაცს საათზე მეტხანს უწევდნენ წინააღმდეგობას. ორმხრივი სროლა 70 მეტრის რადიუსში მიმდინარეობდა, დაჭრილი ბიჭები მაინც არ ნებდებოდნენ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გმირულად იბრძოდნენ.

დაღუპული გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად მიზანშეწონილია ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის და გრიგოლ ფერაძის ქუჩებს შორის არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბება და შინდისის გმირების სახელის მინიჭება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 31
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**სხდომის მდივანი: მზევინარ წულუკიძე**